Ⴜ~ა Ⴈოვანე Ⴍქროპირი

ႬႠႧႪႨႱ-ႶႤႡႨႱႠႧႭჃႱ ႭႴႪႨႱႠ ႹႭჃႤႬႨႱႠ ႨႤႱႭჃ ႵႰႨႱႲჁႱႠ (ႮႨႰႥႤႪႨ)*

Ⴃასაბამი სახარებისაჲ სასუფეველისათჳს Ⴚათაჲსა არს დღენდელი ესე წმიდაჲ დღესასწაული და აღთქუმაჲ გუაქუს ცხოვრებისა საუკუნოჲსაჲ მის მიერ, რომელმანცა-იგი გამოგჳჩინა კეთილი სარწმუნოებაჲ და გამოგჳბრწყინა უკუდავებაჲ.

Ⴃღეს დღესასწაულობს ყოველი სოფელი და პატივ-სცემს Ⴄკლესიაჲ.

Ⴃღეს ეწამების Ⴋამაჲ და ბრწყინვალე-ჰყოფს სული Ⴜმიდაჲ ჩუენებითა ვითარცა ტრედისაჲთა.

Ⴃღეს გალობენ Ⴕერობინნი და სერაბინნი, ადიდებენ Ⴀნგელოზნი, და Ⴋთავარანგელოზნი აქებენ.

Ⴃღეს მამათ-მთავარნი და წინაწარმეტყუელნი წმიდისა მისთჳს დღესასწაულისა იხარებენ.

Ⴃღეს მხიარულ არს ცაჲ და ქუეყანაჲ და ყოველნი დაბადებულნი ადიდებენ.

Ⴀმას დღესა იხარებს **Ⴈოვანე** და პატიოსან იქმნების მონაჲ, ამისთჳს რამეთუ ეჩუენების Ⴓფალი და გამოუბრწყინდების უხილავი Ⴖმრთეებაჲ.

Ⴃღეს განწმიდნების ჴორცი და განიჴსნების კრულებისაგან **Ⴀდამ**.

Ⴃღეს გჳრგჳნოსან იქმნების წმიდაჲ და დიდებული Ⴖმრთის-მშობელი **Ⴋარიამ**, და ყოველნი წინაწარმეტყუელნი მის თანა იხარებენ; რომელნი-იგი წინაჲთ მისთჳს ქადაგებდეს Ⴖმერთსა უხილავსა, აწ თუალითა ხედვენ ჴორციელად.

Ⴀმას დღესა ცხორებაჲ სიკუდილსა დაამჴობს და უკუდავებაჲ გამოჩნდების, შჯული დასცხრების და **Ⴋოსე** მოჰრიდებს; წინაწარმეტყუელნი დადუმნეს, რამეთუ მადლი გამობრწყინდების.

Ⴀმას დღესა ეშმაკი იწყლა, ვეშაპი განსთქდა და ყოველივე მისი დაეცა. Ⴀმისთჳს რამეთუ Ⴖმერთი გამოჩნდა. Ⴃა მრავალნი მოწამენი გუასწავებენ, უფროჲს ხოლო ესე, ოთხმეოცდამეათჱ Ⴔსალმუნი რომელსა გჳთხრობს, ვითარმედ: *დაეცნენ მარცხენით შენსა ათასნი და ბევრნი – მარჯუენით შენსა და შენ არა მიგეახლნენ* (ფს. 90,7). Ⴟერ-არს, რაჲთამცა ყოველი წარმოვთქუთ და გამოვაჩინეთ დიდებაჲ Ⴖმრთისაჲ და, ვითარ-იგი წერილ არს, ძლევაჲ ეშმაკისაჲ და რომელ-ესე სახარებისაგან გუესმა **Ⴈორდანესა** ზედა მოსლვისათჳს Ⴋხოლოდ-შობილისა.

Ⴞოლო აწ Ⴔსალმუნისაჲ იგი სხჳსათჳს დავჰმარხოთ და რომელ-ესე წინა-გჳც, მას მოვისწრაფდეთ დღესა ამას შუენიერსა გამოჩინებასა მას Ⴖმრთეებისასა, რავდენ-ესე ჩუენ ცნობაჲ მოგუცა.

Ⴀჰა დღეს განშუენდების Ⴕრისტე-შემოსილი იგი კრებული, რამეთუ ამან დღეს ჩუენთჳს ნაყოფი გამოიღო კეთილი სარწმუნოებისაჲ, და Ⴖმრთის გამოჩინებისა იგი თესლი გუაუწყა და Ⴖმერთი ჴორციელად გჳჩუენა.

Ⴀმან დღეს Ⴜერილნი იგი Ⴜმიდანი გულისხმაგჳყვნა და სასუფეველი მოგუატყუა.

Ⴀმას დღესა იხარებს ყოველი დაბადებული და დღესასწაულობს Ⴄკლესიაჲ, რამეთუ იდიდების Ⴋამაჲ და Ⴛჱ და სული Ⴜმიდაჲ.

Ⴀმას დღესა ყოველნი ზეცისანი იხარებენ; იხარებს დღეს ყოველი დაბადებული მას ზედა, ოხრის ზღუაჲ, რამეთუ უხარის, და მას შინა მყოფნი ყოველნი მას ადიდებენ, რამეთუ **Ⴈორდანჱ** მიიწია და ახარა.

Ⴈხარებენ მამათ-მთავარნი, იშუებენ წინაწარმეტყუელნი, რამეთუ ხედვენ Ⴖმერთსა დიდებულსა **Ⴈორდანესა** ზედა. Ⴀმას დღესა **Ⴈორდანჱ** პატიოსან იქმნა და ყოველნი წყალნი მისგან განწმიდნეს, **Ⴈოვანე** განშუენდების, Ⴖმრთეებაჲ გამოჩნდების, უფლებაჲ

* სინური მრავალთავი 864 წლისა, რედ. აკ. შანიძე, თბ., 1959. გვ. 74-76.

გამოცხადნების და **ჰურიაებრი** იგი საბურველი გულსა მორწმუნეთასა მოეძარცუვის, წინადაცუეთაჲ იგი პირველი დაჰჴსნდების თჳნიერ ჴელთა და წინადაცუეთისა წილ არს სარწმუნოებაჲ.

Შმას დღესა ცხორებაჲ გამოჩნდა, სიკუდილი განქარდა, ბნელი იმხილა, ეშმაკი იგლოვს, ვეშაპი განსთქდა. Შმას დღესა აღდგების ნიში უკუდავებისაჲ და ყოველი მედგარი უშჯულოებისაჲ დაეცემის.

Ბღეს ᲗᲐᲚᲬᲣᲚᲘ იდიდების, რამეთუ ᲘᲝᲛᲔᲚ-იგი მისგან იშვა Იმერთი და კაცად იპოვა, ᲘᲝᲛᲚᲘᲡᲐ მამაჲ არა იცოდა უხილავი და უჴორცოჲ, ესე დღეს **ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲔᲡᲐ** ზედა იხილვა ზეცით Შამისა მიერ წამებული.

ᲘᲰᲐ, რავდენითა სიხარულითა სავსე არს **Შარიამ**! რომელი-იგი არა იცოდა, არცა ეგონა, სულისა ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ მიერ ღირს იქმნა შობად; და ესე მერმე მდინარესა ზედა ჴელმწიფებით შთასლვასა მას განკჳრვებასა წყალთასა იდიდა, განხუმასა ცათასა და გარდამოსლვასა სულისა ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐᲡ სახედ ტრედისა მის ზედა და ჴმასა Შამისა მიერ ზეგარდამო მეტყუელსა წამებით, ვითარმედ: *ᲔᲒᲔ ᲐᲠᲡ ᲫᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲧᲣᲐᲠᲔᲚᲘ, ᲘᲝᲛᲔᲚᲘ ᲨᲔ ᲡᲐᲗᲜᲝ-ᲕᲘᲧᲐᲕ* (მთ. 3,17), და ᲰᲮᲔᲓᲕᲘᲓᲐ **ᲘᲝᲕᲐᲜᲔᲡ** დგომასა მას და Წნგელოზთა კრებულსა, **ᲜᲣᲠᲘᲐᲗᲐ** განლიგებულთა და ეშმაკისა მწუხარებით სივლტოლასა.

Შმას ყოველსაღა ხედვიდა ᲗᲐᲚᲬᲣᲚᲘ იგი, კადნიერებით **ᲜᲣᲠᲘᲐᲗᲐ** მათ ეტყოდა: «Ჰ **ᲜᲣᲠᲘᲐᲜᲝ** და შჯულისა გარდამავალნო, სიმართლისა მბრძოლნო და ჭეშმარიტებისა მტერნო, მშჯდობისა შემასმენელნო, აწ თავისუფალ მყო მე თქუენსა მას დრკუობასა და თქუენსა მას განსაკითხავსა წყლისა მისგან მხილებითა, აწ გიჩუენო თქუენ **ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡᲘ** სიმართლჱ და სიწმიდით Იმრთის მსახურებაჲ და ჩემი უბიწოებაჲ და სიწმიდჱ და მუცლისა ნაყოფი.

ᲚᲐᲠᲜᲐ აწ საქმენი იგი ახლად ეჩუენებიან შობილისა Შისგან და შჯულის მდებელისა, რამეთუ შჯულისაჲ და წინაწარმეტყუელთაჲ მოგუეცა დამასრულებელი, და რომელ-იგი პირველ სიტყუანი ითქუნეს, აწ გამოჩნდეს». Შმას ყოველსა **Შარიამ** სულისა სიხარულითა იტყოდა.

ᲩᲬ ამას ᲚᲙᲚᲔᲡᲘᲐᲲᲪᲐ გამოჩინებულსა მას ᲗᲠᲘᲡᲢᲬᲡ კაცთ-მოყუარებასა იტყჳს **ᲘᲡᲐᲘᲐᲲᲡ** მიერ: ნათელ-იღე, ნათელ-იღე, **ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲔᲛ**, რამეთუ მოწევნულ არს ნათელი შენი, და დიდებაჲ Ოფლისაჲ შენ ზედა გამობრწყინდეს (ეს.60,1). ᲡᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ გამოგჳბრწყინდა ჩუენ ნათელი, რომელნი ვიყვენით ბნელსა და აჩრდილთა სიკუდილისათა (ეს.9,2).

ᲘᲝᲛᲔᲚᲘ-იგი **ᲚᲔᲗᲚᲔᲛᲡ** იშვა და აღვასრულეთ დღესასწაული შობისა Შისისაჲ უწინარᲬს მცირედთა ამათ დღეთა, ესე დღეს **ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲔᲓ** მოვიდა და ნათელ-იღო **ᲘᲝᲕᲐᲜᲬᲡᲒᲐᲜ** და განანათლნა ყოველნი დაბადებულნი Შისნი. Შმიერითგან ჩუენცა მათ ᲗᲔᲠᲝᲑᲘᲜᲗᲐ თანა ვიხარებდეთ დღენდელსა ამას დღესა და ვიტყოდით წინაწარმეტყუელისა მის თანა და ვთქუათ, ვითარმედ: *ᲔᲡᲔ ᲐᲠᲡ ᲓᲦᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲥᲛᲜᲐ ᲝᲤᲐᲚᲛᲐᲜ. ᲩᲮᲐᲠᲔᲑᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲨᲣᲔᲑᲓᲔᲗ ᲐᲛᲐᲡ ᲨᲘᲜᲐ* (ფს.117,24), რაჲთა ყოველსა ჟამსა მტკიცედ დადგენ ფერᲩნი ჩუენნი სიწრფელესა ᲚᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲐ შინა მარადის.

ᲗᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲓᲔᲗ Შამასა და ᲫᲔᲡᲐ და ᲬᲛᲘᲓᲐᲡᲐ სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. Შმენ.